სოციალური მეწარმეობის მე-8 ფორუმი

21.11.2019

www.seageorgia.ge

სოციალური მეწარმეობის ფორუმი

ფორუმის შესახებ

„სოციალური მეწარმეობის ფორუმი“ ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელსაც საფუძველი **საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა** 2012 წელს ჩაუყარა, 2017 წლის შემდგომ კი ფორუმი **სოციალურ საწარმოთა ალიანსის** თანაორგანიზატორობით იმართება. 2016 წლიდან ღონისძიების მთავარი პარტნიორია **საქართველოს ბანკი**.

ფორუმის მიზანი

ფორუმის მიზანია სოციალურ მეწარმეებსა და ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის კავშირურთიერთობების გაღრმავება, ცნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ზოგადად, სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემის ფორმირება საქართველოში.

ნომინაცია "წლის სოციალური საწარმო"

ნომინაცია "წლის სოციალური საწარმო" ინიცირებულია 2016 წელს და გულისხმობს წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევების მქონე სოციალური საწარმოს გამოვლენას და მის დაჯილდოვებას.

ნომინაციაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში მოქმედ სოციალური საწარმოებს, რომლებიც წარმატებული და უწყვეტი მუშაობის მინიმუმ 2 წლიან გამოცდილებას ფლობენ. შემოსული აპლიკაციებიდან ჟიური არჩევს 3 საუკეთესო სოციალურ საწარმოს, ხოლო გამარჯვებულს გამოავლენს ფორუმის აუდიტორია ფარული კენჭისყრის მეშვეობით.

2019 წლის ნომინანტი სოციალური საწარმოები არიან:

- **ბაბალე** - რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური დარღვევებისა და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას, პროფესიული გადამზადების, დასაქმებისა და მათი ოჯახების გაძლიერების გზით;
- **დადარი** - რომელიც მიზნად ისახავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათი პროფესიული უნარების განვითარებით, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებითა და დასაქმებით;
- **გუმბათი** - რომელიც მიზნად ისახავს წალკის რაიონში მცხოვრები, ენობრივი ბარიერის მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ქართული ენის პოპულარიზაციას, ინტეგრაციის ხელშეწყობას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას ამ გზით დასაქმების შესაძლებლო-ბების გაზრდას.

ფორუმის ორგანიზატორები და პარტნიორები

ორგანიზატორი

SEA
საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსი

საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსი

თანაორგანიზატორი

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მთავარი პარტნიორი

საქართველოს ბანკი

მხარდამჭერი

თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

მხარდამჭერი

Brot für die Welt

ვერცხლის სპონსორი

FINCA Bank
ფინკა ბანკი

ვერცხლის სპონსორი

Woodwork

მედია მხარდამჭერი

BUSINESS MEDIA GEORGIA

მედია მხარდამჭერი

Entrepreneur

სოციალური მეწარმეობის მე-8 ფორუმი

შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი
თელავის ქუჩის 20, 0103, თბილისი
(საქართველო).

დრო	
09:30-10:10	**რეგისტრაცია / ყავით მისალმება**
10:10-10:30	**ღონისძიების გახსნა, მისასალმებელი სიტყვები** წამყვანი: ირინა მანია - აღმასრულებელი დირექტორი - საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია. სპიკერები: ნანა ჩქარეული - გამგეობის თავჯდომარე - სოციალურ საწარმოთა ალიანსი ეკა ურუშაძე - აღმასრულებელი დირექტორი -საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; კახა კალაძე - ქალაქ თბილისის მერი (დასტურის მოლოდინში); ანა თათულაშვილი - დირექტორი - საქართველოს ბანკი-ფონდი "სიცოცხლის ხე".
10:30-12:00	პანელური დისკუსია თემაზე: **სოციალური მეწარმეობის განვითარება, მიღწევები, შესაძლებლობები, მოლოდინები, შემდგომი ნაბიჯები.** სპიკერები: სალომე ხუციშვილი - აღმასრულებელი დირექტორი -სოციალურ საწარმოთა ალიანსი. სოციალურ საწარმოთა ალიანსის განვითარების ისტორია (წევრთა რაოდენობა, ალიანსის სოციალური საწარმოების საქმიანობის სფეროები), მისი მნიშვნელობა სფეროს განვითარების პროცესში. ეკა დათუაშვილი - სოციალური მეწარმეობის პროგრამის კოორდინატორი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ცენტრის, როგორც სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციის წლის შეჯამება, წლის მნიშვნელოვანი მიღწევები, სამომავლო გეგმები. ანა ნიქაბაძე - პროგრამის, მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი - არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB) საქართველო. სოციალური სერვისების მიმწოდებელი საწარმოების განვითარება და პერსპექტივები. 2019 წლის შედეგები და 2020-ის გეგმები. ანა თათულაშვილი - საქართველოს ბანკის ფონდ "სიცოცხლის ხე" დირექტორი. საქართველოს ბანკის, როგორც მსხვილი ბიზნეს კომპანიის მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა, სამომავლო გეგმები.

	რევაზ ჩარკვიანი - დირექტორი - ახალგაზრდობის სააგენტო. სააგენტოს პრიორიტეტები, სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მნიშვნელობა სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან. დაგეგმილი აქტივობები. ნატო ჩაკვეტაძე - მეწარმეობის პროგრამის ხელმძღვანელი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. აკადემიურ ინსტიტუციებში სოციალური მეწარმეობის კურსის დანერგვის მნიშვნელობა და არსებული პრაქტიკა საქართველოში.
12:00-12:30	**შესვენება ყავით**
12:30-14:00	მუშაობა თემატურ ჯგუფებში **თემატური ჯგუფი #1** **სოციალური მეწარმეობა და ინოვაციები** განსახილველი საკითხი: სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების ინოვაციური გადაწყვეტის გზები - ქართული სოციალური საწარმოების პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. მოდერატორი - სალომე კუსიანი - ორგანიზაციული განვითარების კონსულტანტი. სპიკერები: სალომე წიქვაძე - დამფუძნებელი - სოციალური საწარმო "ჩუ"; ზურაბ ბაზღაძე - დამფუძნებელი - საბურავების გადამამუშავებელი კომპანია TRC; ელენე ჟვანია - თანადამფუძნებელი - Impact Hub თბილისი; ეკატერინე ასათიანი - დამფუძნებელი - სოციალური საწარმო Plasticwatcher.ge; ნიკოლოზ ტყეშელაშვილი - თანადამფუძნებელი - სოციალური საწარმო "ფრილანსერი". **თემატური ჯგუფი #2** **სოციალური მეწარმეობა - როგორც წარმატებული ბიზნეს მოდელი** განსახილველი საკითხი: გზა ფინანსური მდგრადობისკენ უფრო მეტი სოციალური შედეგებისთვის - სოციალური საწარმოების პრაქტიკული გამოცდილება და სხვადასხვა შესაძლებლობები სოციალური ბიზნესის განვითარებისთვის საქართველოში. მოდერატორი: გიგა ჩიტიშვილი - სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული პროგრამის მენეჯერი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. სპიკერები: კოტე სვანაძე - დამფუძნებელი - სოციალური საწარმო "კოდალა"; ლია ტაბატაძე - დამფუძნებელი - სოციალური საწარმო "ბაბალე"; სალომე ხაჩიაური - ინოვაციებისა და კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო GITA; ანი გულედანი - დამწყები საწარმოების ხელშეწყობის პროგრამა - სტარტაპ საქართველო.

	თემატური ჯგუფი #3: **სოციალური გავლენის გაზომვა და მართვა** განსახილველი საკითხი: როგორ აისახება ადამიანებზე სოციალური საწარმოს საქმიანობა და როგორ გავზომოთ ჩვენი საწარმოს სოციალური შედეგები და გავლენა. ეს საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბევრი სოციალური მეწარმისათვის. ამ პრაქტიკის მქონე სოციალური საწარმოები დაინტერესებულ პირებს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. მოდერატორი: ქრისტინე კანდელაკი – საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის მენეჯერი – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. სპიკერები: ირინა მანია – დამფუძნებელი – სოციალური საწარმო "ეთნოდიზაინი"; მედო კევლიშვილი – იდეის ავტორი – სოციალური საწარმო "პოტერია"; მარი გელაშვილი – სკოლებთან ურთიერთობა, პროექტების მართვა – საგანმანათლებლო ფონდი EduCare საქართველო – ინიციატივა "ჩართე"; მაიკო ბურდული – საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი – სოციალური საწარმო "ცისარტყელა".
14:00-15:00	**სადილი**
15:00-15:30	**კამპანია დაარჩქარე ცვლილებები – მიმოხილვა:** სპიკერი – გიგა ჩიტიშვილი სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული პროგრამის მენეჯერი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
15:30-16:15	**წლის სოციალური საწარმოს ნომინაციაში რეგისტრირებული სოციალური საწარმოების პრეზენტაციები:** არჩილ გობეჯიშვილი – სოციალური საწარმო "დადარი"; ლია ტაბატაძე – სოციალური საწარმო "ბაბალე"; ირა ძირკვაძე – სოციალური საწარმო "გუმბათი".
16:15-16:30	**ხმის მიცემა და წლის სოციალური საწარმოს გამოვლენა** გამარჯვებული საწარმოს გამოცხადება და საქართველოს ბანკის ჯილდოს გადაცემა;
16:30-16:35	**ნომინაცია "პოდალას რჩეულის" დასახელება და პრიზის გადაცემა**
16:35-17:30	**შემაჯამებელი კომენტარები, დონისძიების დახურვა**

სოციალურ საწარმოთა ალიანსი
დელისის 1-ლი შესახვევი 5ა,
0177, თბილისი, საქართველო.

(032)2399019
seallIancegeorgia@gmail.com
www.seageorgia.ge